



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N132**

21 აგვისტო 2019 წ.

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 მარტის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 მარტის N38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/03/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.160.016475) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 122-129-ე მუხლების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 20-ე მუხლის შესაბამისად,“

ბ) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დამტკიცდეს:

ა) შემოწმების აქტების ფორმები (დანართი N1, დანართი N2);

ბ) მითითების ფორმა (დანართი N3);

გ) საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ აქტის ფორმა (დანართი N4).“

მუხლი 2

იმ ობიექტებზე, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 3 ივნისამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობას მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ახორციელებს წინამდებარე დადგენილების მიღებამდე სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის მოქმედი დოკუმენტების ფორმების შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ქავთარაძე